სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

22 აპრილი 2025

N 53

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 07 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ" ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესი და პირობები" ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 2 მარტის №32 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მამუკა ბლიაძე

დირექტორი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

დანართი

კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესი და პირობები“ (შემდგომ - წესი) განსაზღვრავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კინოს სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების მიზნით სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) საბიუჯეტო ასიგნებებიდან ამ წესით განსაზღვრული მიმართულებებით პროექტების (შემდგომ - პროექტი) დაფინანსების წესსა და პირობებს.
2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეროვნული ფილმის წარმოებისა და გაქირავების დაფინანსებაზე.
3. ეროვნული კინოცენტრი უფლებამოსილია, საკონკურსო წესით დააფინანსოს ის პროექტები, რომლითაც გათვალისწინებულია კინოს სახელმწიფო მხარდაჭერის შემდეგი მიმართულებები:
ა) კინომემკვიდრეობის დაცვა (მათ შორის, არსებული კინოფონდის დაცვის ღონისძიებები, კვლევები, კონფერენციები, გამოფენები, რეტროსპექტივები და სხვა ღონისძიებები);
ბ) კინოფესტივალებისა და ეროვნული კინემატოგრაფიის მხარდამჭერ სხვა ღონისძიებათა ხელშეწყობა (მათ შორის, ყოველწლიური და ერთჯერადი კინოფესტივალები, კინოჩვენებები, კინოკვირეულები, საიუბილეო საღამოები მრგვალ თარიღებთან დაკავშირებით, რეგიონული კინოკლუბების მხარდაჭერა, კინოთეატრებისა და კინოსივრცეების ამოქმედების კონცეფციების შექმნა და სხვა ღონისძიებები);
გ) კინოგანათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა (მათ შორის, ტრენინგები, მასტერ-კლასები, ვორქშოპები, ლექციები, სემინარები და სხვა ღონისძიებები);
დ) კინოლიტერატურის (მათ შორის, მონოგრაფიები, ალბომები, კვლევები, სახელმძღვანელოები, ცნობარები, მემუარები) გამოცემის ხელშეწყობა (შენიშვნა: ეს ქვეპუნქტი არ მოიცავს კინოლიტერატურის ბეჭდვის მხარდაჭერას).
4. ეროვნული კინოცენტრი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პროექტები დააფინანსოს არასაკონკურსო წესით.
5. ამ წესის მიხედვით დაფინანსებული პროექტები უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 2. საკონკურსო განაცხადის წარდგენის წესი

1. პროექტის დაფინანსების თაობაზე საკონკურსო განაცხადი (შემდგომ - განაცხადი) განიხილება ამ წესისა და თითოეული კონკურსისათვის ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო პირობების შესაბამისად. საკონკურსო პირობებით განისაზღვრება ცალკეული კონკურსის მიზნები და პრიორიტეტები, სხვა დამატებითი კრიტერიუმები, საკონკურსო ვადები, პროექტის განხორციელების ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა შესაბამისი ინფორმაცია.
2. ეროვნული კინოცენტრის მიერ საკონკურსო განაცხადების მიღების, განხილვის, კონკურსში გამარჯვებული პირის გამოვლენისა და მასთან ხელშეკრულების გაფორმების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 სამუშაო დღეს.
3. განაცხადი ეროვნულ კინოცენტრს წარედგინება პროექტის ავტორის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირი, ხოლო არაუმეტეს 8000 ლარის ბიუჯეტის მქონე პროექტის ფარგლებში,

განაცხადი ეროვნულ კინოცენტრს შეიძლება წარედგინოს ფიზიკური პირის მიერ, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია როგორც „გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი“.

4. კონკურსანტს ეროვნული კინოცენტრის წინაშე არ უნდა ჰქონდეს შეუსრულებელი ვალდებულება და არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში ან/და არ უნდა მიმდინარეობდეს მის მიმართ სასამართლო დავა.

5. კინოფესტივალის პროექტის დაფინანსების განაცხადის გარდა, რომელიც წარმოდგენილ უნდა იყოს ამ წესის №1 დანართით დამტკიცებული ფორმით, სხვა პროექტების დაფინანსების თაობაზე განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს ამ წესის №2 დანართით დამტკიცებული ფორმით და საკონკურსო პირობებით განსაზღვრული დამატებითი დოკუმენტაციით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. საკონკურსო დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია ქართულენოვანი თარგმანი. ქართულ ენაზე თარგმნილი დოკუმენტები სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული.

7. განაცხადები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. კონკურსანტს თითოეულ კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის წარმოდგენა.

9. კონკურსანტი უფლებამოსილია, შეცვალოს წარმოდგენილი განაცხადი ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია, მხოლოდ საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე.

10. კონკურსანტს, ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენისას, ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება 2 სამუშაო დღე. ხარვეზის შესახებ მხარეს შეტყობინება უნდა გაეგზავნოს მის მიერ განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე და მისი დაუდასტურებლობის შემთხვევაშიც კი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია რჩება განუხილველი.

მუხლი 3. საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესი

1. რეგისტრირებული განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით, შესაბამისი კონკურსის ფარგლებში, ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია.

2. ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია კომპლექტდება 5 წევრით, მათ შორის განისაზღვრება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (მისი არყოფნის შემთხვევაში).

3. საკონკურსო კომისია კომპლექტდება ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლებით. საკონკურსო კომისიაში, კონკურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, წევრის სტატუსით შესაძლებელია მონაწილეობდეს მოწვეული სპეციალისტი.

4. საკონკურსო კომისიის მდივნის ფუნქციას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი.

5. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საკონკურსო კომისიის სხდომებს და მონაწილეობს კონკურსის ფარგლებში შემოსული განაცხადების განხილვასა და შეფასებაში.

6. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ადმინისტრირებას ახორციელებს კომისიის მდივანი, რომელიც:

ა) უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის სხდომებისთვის საკონკურსო დოკუმენტაციისა და მასალების მომზადებას;

ბ) უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის სხდომების ჩატარებას, უწევს დახმარებას კომისიის

თავმჯდომარეს საქმიანობის განხორციელებისას, ატყობინებს კომისიის წევრებს სხდომების ჩატარების დროსა და ადგილს, ქმნის კომისიის წევრებისათვის შესაბამის სამუშაო პირობებს და უზრუნველყოფს მათ საჭირო მასალებითა და დოკუმენტებით;
გ) კონკურსის ფარგლებში განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში საკონკურსო კომისიის წევრებს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის საშუალებით უგზავნის რეგისტრირებულ საკონკურსო განაცხადებსა და შესაბამის დოკუმენტაციას;
დ) უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის სხდომების ოქმების შედგენას.
7. კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული განაცხადების განხილვასა და შეფასებას საკონკურსო კომისია ასრულებს საკონკურსო განაცხადების გადაცემიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. კომისიის წევრთა უფლებამოსილებები

1. კომისიის წევრი ვალდებულია, საკონკურსო კომისიის მიერ განაცხადების განხილვის დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილება, თუ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით განსაზღვრული თვითაცილების საფუძვლები, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს რომელიმე განაცხადის ობიექტურად შეფასებასა და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად მიღებაში.
2. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრს განაცხადის განხილვისას წარმოეშობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით განსაზღვრული თვითაცილების საფუძვლები, იგი ვალდებულია ამ გარემოების შესახებ აცნობოს კომისიის წევრებს და განაცხადოს თვითაცილების თაობაზე. ამის შემდეგ პროექტი განიხილება იმ კომისიის წევრის გარეშე, რომელმაც განაცხადა თვითაცილების თაობაზე და აცილებული წევრის ნაცვლად კომისიას დაემატება ახალი წევრი.
3. თუ საკონკურსო კომისიის წევრი არ განაცხადებს თვითაცილების შესახებ და ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების შესახებ საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გახდება ცნობილი, მისი შეფასება მოცემული განაცხადების შესახებ არ იქნება გათვალისწინებული.
4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. საკონკურსო კომისიის სხდომა არის დახურული. კენჭისყრა ღიაა. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად.

მუხლი 5. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:
ა) პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და ეროვნული კინოცენტრის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებთან;
ბ) პროექტის განხორციელების ფორმატი, პროექტის ინოვაციურობა;
გ) პროექტის მოსალოდნელი შედეგის გაზომვადობა (მდგრადობა);
დ) ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებით;
ე) შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება.
2. პროექტების შეფასების შედეგად, საკონკურსო კომისია იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;
ბ) პროექტის ეროვნული კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხით ნაწილობრივ

დაფინანსების შესახებ;
გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;
დ) პროექტის კორექტირების შესახებ.
3. საკონკურსო კომისია დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით იღებს დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას.
4. პროექტის ნაწილობრივი დაფინანსებისა და პროექტის კორექტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კონკურსანტს მოსთხოვოს პროექტის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა ამ წესის №3 დანართით დამტკიცებული ფორმით, საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში (ნაწილობრივი დაფინანსების შემთხვევაში), რაც კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ამ ვადის დაუცველობის ან ამ ვადაში დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტი კონკურსიდან მოხსნილად ითვლება. მოცემული მიზეზით კონკურსიდან მოხსნის შესახებ ინფორმაცია კონკურსანტს ეგზავნება საკონკურსო კომისიის მდივნის მიერ.
5. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საკონკურსო კომისიის ყველა წევრი.
6. საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და კომისიის მუშაობის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე არ გაამჟღავნონ კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.
7. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნული კინოცენტრის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროექტების დაფინანსების შესახებ.

მუხლი 6. არასაკონკურსო წესით პროექტის განხილვა
1. ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასაკონკურსო წესით პროექტის დაფინანსება ხორციელდება დაინტერესებული პირის მიერ ეროვნული კინოცენტრის სახელზე წარმოდგენილი წერილობითი განაცხადის საფუძველზე, რომელსაც თანდართული უნდა ჰქონდეს განაცხადი პროექტის დაფინანსების თაობაზე.
2. დაინტერესებული პირი ვალდებულია, სრულყოფილი დოკუმენტაცია ეროვნულ კინოცენტრში წარმოადგინოს პროექტის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 სამუშაო დღისა.
3. არასაკონკურსო წესით საპროექტო განაცხადის მიღებისას და პროექტის დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენება ამ წესით დადგენილი პროცედურები.
4. ეროვნული კინოცენტრის მიერ განაცხადების განხილვის, მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 სამუშაო დღეს.
5. პროექტის დაფინანსების შესახებ განაცხადს განიხილავს ეროვნულ კინოცენტრში შექმნილი არასაკონკურსო წესით პროექტების განმხილველი კომისია, რომელიც კომპლექტდება შემდეგი შემადგენლობით:
ა) დირექტორი - კომისიის თავმჯდომარე;
ბ) კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი/კომისიის მდივანი;
გ) დირექტორის მრჩეველი - კომისიის წევრი;
დ) მთავარი ბუღალტერი - კომისიის წევრი;
ე) იურისტი - კომისიის წევრი.
6. პროექტის დაფინანსების შესახებ განაცხადების განხილვა ხორციელდება შემდეგი წესით:
ა) განაცხადის არასრულყოფილად წარმოდგენისას, ხარვეზის აღმოსაფხვრელად პროექტის ავტორს განესაზღვრება 2 სამუშაო დღე. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში

წარმოდგენილი დოკუმენტაცია რჩება განუხილველი;
ბ) სრულყოფილად წარმოდგენილ განაცხადს 7 სამუშაო დღის ვადაში იხილავს პროექტების განმხილველი კომისია;
გ) პროექტების განმხილველი კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილება დასაფინანსებელი პროექტისა და დაფინანსების ოდენობის თაობაზე, დასამტკიცებლად წარედგინება ეროვნული კინოცენტრის დირექტორს.

მუხლი 7. სახელშეკრულებო ურთიერთობები

1. პროექტის/პროექტების დაფინანსების შესახებ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, პროექტის განმახორციელებელ პირთან ფორმდება ხელშეკრულება. სხვა პირობებთან ერთად, ხელშეკრულებით განისაზღვრება ანგარიშსწორებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების წესი, ასევე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირის ვინაობა.
2. პროექტის განმახორციელებელს მოთხოვნილი თანხა შესაძლებელია დაერიცხოს სრულად ან ნაწილობრივ.
3. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ მხარე მეორე მხარეს მიმართავს წერილობით, რაზეც შესაბამისი პასუხი უნდა გაიცეს 3 სამუშაო დღის ვადაში.
4. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ მოთხოვნილი ცვლილებები ითვალისწინებს ხელშეკრულებით დაფინანსებული პროექტის ფორმატის ან/და შინაარსის იმგვარ ცვლილებას, რაც არსობრივად ეწინააღმდეგება ან/და არ არის თავსებადი თავდაპირველ საკონკურსო პირობებთან, ეროვნული კინოცენტრი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე.
5. გარდა შრომის ანაზღაურებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლებში თანხების ცვლილებისა, ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში პუნქტთაშორისი ცვლილებები დასაშვებია ხარჯთაღრიცხვის 10%-ის ფარგლებში და საჭიროებს ეროვნული კინოცენტრის ინფორმირებას ცვლილების განხორციელებამდე 2 სამუშაო დღით ადრე. ხარჯთაღრიცხვაში სხვა ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს ეროვნული კინოცენტრისგან წინასწარ წერილობითი შეთანხმების მოპოვებას შესაბამისი დასაბუთების წარდგენით. ამასთან, ეს ცვლილებები არ უნდა იწვევდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ზრდას. მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ეროვნული კინოცენტრის წინასწარი თანხმობის გარეშე გამოიწვევს მხარისათვის ფინანსური სანქციის დაკისრებას, რომლის ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 2%-ს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება.
6. პროექტის განხორციელების მიმდინარეობისას, ეროვნული კინოცენტრი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ადგილზე განახორციელოს პროექტის მონიტორინგი.
7. პროექტის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, ხელშეკრულების შესრულების საბოლოო ანგარიში ეროვნულ კინოცენტრში წარმოადგინოს ამ წესის №4 დანართით დამტკიცებული ფორმით, პროექტის დასრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.
8. პროექტის განმახორციელებელი პირის მიერ ეროვნულ კინოცენტრში წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ეროვნული კინოცენტრის მხრიდან ხელს აწერს კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის უფროსი (ადასტურებს განხორციელებული პროექტის თემატურ და შინაარსობრივ შესაბამისობას ხელშეკრულების საგანთან), მთავარი ბუღალტერი (ადასტურებს ფაქტიურად გაწეული ხარჯების ფინანსური დოკუმენტაციის შესაბამისობას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვასთან) და პროექტის განმახორციელებელი პირი.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ეროვნული კინოცენტრის მხრიდან ანგარიშსწორების საფუძველს, რომელიც ხორციელდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, გარდა ამ წესის შესაბამისად წინასწარ განხორციელებული ანგარიშსწორებისა. შესაძლებელია ანგარიშსწორების განსხვავებული პირობის დადგენა (წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში), რაც აისახება მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

10. პროექტის განმახორციელებელს უფლება არ აქვს, ეროვნული კინოცენტრის წინასწარი თანხმობის გარეშე, განახორციელოს პროექტის თემატური ან/და შინაარსობრივი ცვლილება, მათ შორის, იმ მოტივით, რომ მოცემული ცვლილება არ არის დაკავშირებული ხელშეკრულების თანდართულ ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების განხორციელებასთან. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების განხორციელებასთან მიმართებით გამოიყენება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესი.

11. ეროვნული კინოცენტრი უფლებამოსილია, პროექტის მიმდინარეობისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში (მათ შორის, ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მონიტორინგის ფარგლებში), მოითხოვოს ეროვნული კინოცენტრის მიერ მითითებულ ვადებში, პროექტის განმახორციელებლის მიერ, თავისი ხარჯებით, ღონისძიებების პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ეროვნული კინოცენტრი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს უკვე გადარიცხული თანხის უკან დაბრუნება, ან ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს უკვე გადარიცხული თანხის უკან დაბრუნება ისე, რომ არ გამოიყენოს მისთვის ამ მუხლის მე-11 პუნქტით მინიჭებული უფლება.

13. ეროვნულ კინოცენტრს უფლებას აქვს, ნებისმიერი სახის აქტივობასა და სივრცეში, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ციფრული ან/და ნაბეჭდი ასლი.

14. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრება ამ წესიდან გამომდინარე დამატებითი პირობები, სხვა ტექნიკური და პროცედურული საკითხები.

მუხლი 8. საგამონაკლისო წესი

ცალკეული პროექტის დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს, დირექტორის თანხმობით, ამ წესისგან განსხვავებული პირობით.